**ადრესატი:**

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**პ/21570800**
თარიღი: **02/05/2024**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი N 6**

**დ. ლენტეხი. 30.04/ 2024 წ.**

მიმდინარე წლის 30 აპრილს დღის 12 საათზე ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები- დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ლიპარტელიანი, სპეციალისტი ცოტნე ქურასბედიანი და მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა. /მომხ. ტ. ჩანქსელიანი./**

**მოისმინეს:** მერიის საფინანსო-სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა კომისიის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემოსულობების, გადასახდელების შესაბამისი პერიოდის გეგმიური მაჩვენებლების მიხედვით.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით: 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა შეადგენს 17087,5 ათ. ლარს. სამი თვის ფაქტიური შესრულება 7066,6 ათ. ლარს. შესრულებულია 41 %-ით. მ. შ. სახელმწიფო ფონდები გეგმით 8329,2 ათ. ლარი, შესრულება 4063,3 ათ. ლარი, შესრულებულია 48 % ით. საკუთარი შემოსავლების გეგმა 8758.3 ათ. ლარი, ფაქტიურად 3003,2 ათ. ლარი. შესრულება 34 %-ით. გადასახდელების წლიური ბიუჯეტის გეგმა განსაზღვრულია 17087,4 ათ. ლარი, სამი თვის ფაქტიური შესრულება 3047,6 ათ. ლარი. შესრულებულია 17 %-ით. მ. შ. საკუთარი გადასახდელების გეგმა 8758,3 ათ. ლარი. სამი თვის ფაქტიური შესრულება 2098,1 ათ. ლარი. შესრულებულია 23 %-ით. სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა 8329,1 ათ. ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 949.5 ათ. ლარი, შესრულებულია 11 %-ით.

საგადასახადო შემოსავლების გეგმა 6759,0 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 1591,6 ათ. ლარი, შესრულებულია 23 %-ით.

გრანტები გეგმით 6087,5 ათ ლარი ფაქტიურად გახარჯულია1686,1 ათ. ლარი. შესრულებულია 27%-ით.

სხვა შემოსავლები გეგმით 450,0 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 40.5 ათ. ლარით, შესრულებულია 9%-ით. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გეგმით გათვალისწინებულია

8556,4 ათ. ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 2120,2 ათ. ლარი. შესრულებულია 24%-ით. მ. შ შრომის ანაზღაურება გეგმით 2540,0 ათ. ფაქტიური შესრულებულია 631, ათ ლარი. შესრულებულია 24 %-ით. საქონელი და მომსახურეობა გეგმით 2071,4 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 579,5 ათ. ლარი, შესრულებულია 27 %-ით. სუბსიდიები გეგმით 3608,6 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 837,6 ათ. ლარი, შესრულებულია 23 %-ით.

სოციალური უზრუნველყოფა გეგმით გათვალისწინებულია 306,4 ათ, ლარი ფაქტიური შესრულება 65,7 ათ. ლარი. შესრულებულია 21 %-ით.

არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით გათვალისწინებულია 8501.0 ათ ლარით, გახარჯულია 927,5 ათ ლარით, შესრულებულია 10 % ით.

ვალდებულების კლება გეგმით გათვალისწინებულია 30,0 ათ, ლარით , რომელიც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

2024 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის ცვლილება შეადგენს 3740,9 ათ. ლარს. აღნიშნული ნაშთიდან 2421,2 ათ ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან განკარგულებით გამოყოფილი სახსრების ნაშთია. ხოლო 1319,7 ათ ლარი წარმოადგენს თავისუფალ ნაშთს.

ხარჯები სტრუქტურული პრიორიტეტების მიხედვით - მმართველობა და საერთო დანიშნულება გეგმით გათვალისწინებულია 5732,6 ათ. ლარი. ფაქტიური შესრულება 1397,6 ათ. ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარება 7699,9 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 807,2 ათ. ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა გეგმით 526,0 ათ. ლარი. ფაქტიური შესრულება 108.3 ათ. ლარი. შესრულებულია 20 %-ით. კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი 1619.0 ათ. ლარი, შესრულებულია 258,1 ათ. ლარი. შესრულებულია 22 %-ით. ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა გეგმით 430.0 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 108,4 ათ ლარი, შესრულებულია 25 %-ით.

**საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ მომხსენებელს მიმართა კითხვით: გარე განათების პროგრამის ფარგლებში არსებული ქსელის მოვლა-შენახვის და ელექტროენერგიის თანხა რომელიც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ძირითადად დაბის ტერიტორიას მოიცავს თუ მთლიანად ადგილობრივ თემებს.**

**პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადი ხარჯები გარე განათების მოვლა-შენახვაზე გათვალისწინებულია დაბის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურისთვის.**

კომისიის წევრებს სხვა შეკითხვები არ დაუსვიათ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიში შეფასდეს დადებითად და საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე